ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელს
ბატონ ზაალ მამალაძეს
მუნიციპალიტეტის მერის მინდია ჟღერიას

**განმარტებითი ბარათი**

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და ,,სტიქიის პრევენციის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2026 წლის 2 მარტის N96 დადგენილების შესაბამისად, მუნიციპალიტეტის მერიამ შეიმუშავა განკარგულების პროექტი ,,სტიქიის პრევენციის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში 2026-2027 წლებში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში დასაფინანსებელი პროექტების მოწონების შესახებ“

„სტიქიის პრევენციის სახელმწიფო პროგრამა“ ადგენს, სტიქიის თავიდან ასაცილებლად ან სტიქიის შედეგად მოსალოდნელი ზიანის შესამცირებლად წინასწარი ზომების მიღების მიზნით, „საქართველოს 2026 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან პროექტ(ებ)ის შერჩევის კრიტერიუმებსა და პროცედურას, აგრეთვე განსაზღვრავს ამავე პროექტ(ებ)ის განსახორციელებლად საჭირო სახსრების გამჭვირვალედ და ეფექტიანად გამოყენების წესს.

,,სტიქიის პრევენციის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2026 წლის 2 მარტის N96 დადგენილების შესაბამისად, მუნიციპალიტეტის პროექტის შესახებ წინადადებას ამზადებს მუნიციპალიტეტის მერი. მუნიციპალიტეტის პროექტის ინიციირების მიზნით, მუნიციპალიტეტის მერი წინადადებას განსახილველად და შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად უგზავნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს. მუნიციპალიტეტის პროექტის დაფინანსების მიზნით მომზადებული წინადადების მოწონების თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს მუნიციპალიტეტის საკრებულო.

პროექტის ინიციატორია მუნიციპალიტეტის მერი.

პროექტის ავტორი და საკრებულოს სხდომაზე დანიშნული მომხსენებელია ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის არქიტექტურის, სივრცითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახურის ინფრასტრუქტურის განყოფილების უფროსი მერაბ ბერძენიშვილი.

**მუნიციპალიტეტის მერი: მინდია ჟღერია**